სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ცამეტი წლის თერთმეტ ნოემბერს მე, ნოტარიუსს ნანი სიდამონიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №27-ში, მომმართა ქალბატონმა *ინეზა ადეიშვილმა შ.პ.ს. " ვიტა"ს (ს/კ 400009780) დირექტორმა,* რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *ინეზა ადეიშვილმა (დაბ. 14.08.1950წ. პ №01023010741. მისამართი : თბილისი, დ. გურამიშილის გამზ № 33 "ა", ბ 21)* მომმართა.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე შევამოწმე ის ფაქტი რომ *ინეზა ადეიშვილი უფლებამოსილია წარმოადგინოს შ.პ.ს. " ვიტა", თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან , ამონაწერის მომზადების თარიღი 26.03.2013წ.* შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ნანი სიდამონიძემ, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათას ცამეტი წლის თერთმეტ ნოემბერს *ინეზა ადეიშვილმა (დაბ. 14.08.1950წ. პ №01023010741. მისამართი : თბილისი, დ. გურამიშილის გამზ № 33 "ა", ბ 21) როგორც შ.პ.ს. " ვიტა"ს (ს/კ 400009780) დირექტორმა* რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „მარწმუნებელი", წინამდებარე მინდობილობით *აბესალომ ჩხეიძეს (დაბ. 03.03.1960წ. პ № 01008004641. მისამართი : თბილისი ა.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 3 ბ. 1)* შემდეგში წოდებულია როგორც „რწმუნებული", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

"რწმუნებული" უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მათ შორის მერიაში, გამგეობაში, არქივში, შეაგროვოს საჭირო დოკუმენტები, ჩააბაროს საბუთები, მიმართოს განცხადებით გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახდები, მოიპოვოს ყველა საჭირო დოკუმენტები რაც დაკავშირებული იქნება შ.პ.ს. " ვიტა"ს კუთვნილი უძრავი ქონების მდებარე : ქ. თბილისი, მეტრო სარაჯიშვილის მიმდებარე ტერიტორიაზე –პროექტის დამტკიცების, ნებართვის მიღება და საპროექტო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით და ძალაშია 2014 წლის 11 (თერთმეტი) მაისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო საზღაური: 10 ლარი , თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა, დღგ 1.80 ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: _____

ნოტარიუსი: _____ / ნანი სიდამონიძე /

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

47341544854113

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131180306

რეგისტრაციის თარიღი

11.11.2013 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18